ნინო გურჩიანი

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 40-50 წლებში

შესავალი

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოურ სისტემაში შემავალი ყველა რესპუბლიკის მსგავსად საქართველოც სოციალიზმის სტადიაში შევიდა. სარწმუნოების საკითხში ლენინური პრინციპის განხორციელება გულისხმობდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნას. კომუნისტურმა სისტემამ უარყო ეკლესიის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რადგან ეკლესია ეროვნული ინტერესების მატარებელი იყო. ათეიზმმა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ემყარებოდა, ჩამოყალიბებული სახე, ლენინის მმართველობის პერიოდში მიიღო. ლენინმა, შეძლო და ისტორიის შუქზე სულ სხვა კუთხით ახსნა რელიგიისა და ათეიზმის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მარქსის ცნობილი დებულება, ,,რელიგია ხალხის ოპიუმია", ლენინის აზრით, მარქსის მსოფლმხედველობის მთავარი ქვაკუთხედია და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რელიგიის გაგების საკითხში.

საბჭოური ათეიზმის ძირითადი მიზანი, რელიგიის ყალბი, ანტიმეცნიერული ბუნებისა და მისი, ისტორიული წარმავალი ხასიათის წარმოჩენა იყო. ლენინს მიაჩნდა, რომ რელიგია ადამიანის განვითარების მაღალ საფეხურზე გაქრებოდა და მთელს მსოფლიოში კომუნიზმი დამყარდებიდა. საბჭოთა კავშირში ანტირელიგიური პროპაგანდა ყოველთვის იყო პოლიტიკური ამოცანისა და იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი.

საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იდეოლოგიური მუშაობის საკითხს, რომელიც ძირითადად მშრომელთა მასების კომუნისტური იდეოლოგიით აღზრდაზე იყო ორიენტირებული. საბჭოური მანქანა ცდილობდა მარქსისტულ-ლენინური თეორიით აღეზარდა საზოგადოება და ამ მიზნის განსახორციელებლად, მთავარი იერიში რელიგიაზე მიიტანა. ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ თუ საზოგადოებას წაართმევდა რელიგიას, ჩაახშობდა მათ ხმასაც.

ქვეყანაში რელიგიის დაძლევისა და ათეიზმის დამკვიდრების საქმეში საბჭოთა მთავრობა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეყრდნობოდა, სწორედ მათი მეშვეობით უნდა მომხდარიყო ქვეყნის საშინაო პოლიტიკის სარწმუნოებრივ საკითხში მნიშვნელოვანი გარდაქმნები. საბჭოთა ათეისტურმა პოლიტიკამ მკვეთრი ხასიათი შეიძინა ვლადიმერ ლენინის დროს, როდესაც ანტირელიგურმა შეხდულებემა თუ ქმედებებმა საკმაოდ აგრესიული სახე მიიღო. მოგვიანებით აშკარა გახდა, რომ XX საუკუნის 20-30-იანი წლებში ეკლესიის მიმართ გატარებულმა მკაცრმა პოლიტიკამ 40-იან წლებში მისთვის საპირიპირო შედეგი გამოიღო. მეორე მსოფლიო ომმა გარკვეულწილად განაპირობა ხელისუფლების პოლიტიკის შერბილება ეკლესიის მიმართ. საქართველოს ეკლესიის მეთაურებმაც შეცვალეს თავიანთი მიდგომა თუ დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი. საბჭოურ პოლიტიკსათან ლავირების მეთოდით სასულიერო დასი ცდი-

ლობდა ეკლესიისთვის საჭირო და სასარგებლო ნაბიჯების გადადგმას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, თვითგადარჩენის მიზნით, თანამშრომლობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან და ამავდროულად, ცდილობდა მისი ადგილი დაეკავებინა მსოფლიო საეკლესიო სივრცეში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დათმობითმა პოლიტიკამ, გააჩინა მისი საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენისა და ავტოკეფალიისთვის ბრძოლის შესაძლებლობა. ეკლესიის მიერ, არჩეული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გაწევრიანდა ეკლესიათა საერთო საბჭოში. ქართული ეკლესიის დათმობითი პოლიტიკა, დღემდე სადაო საკითხია და მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი შეფასება შეუძლებელია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ დათმობითი პოლიტიკა იყო ის ძირითადი ბერკეტი, რომლითაც ეკლესია გაუმკლავდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ, რელიგიურ ინსტიტუტებზე მიტანილ იერიშს და შემდგომში, საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად, მალევე შეძლო ავტოკეფალიის აღდგენა.

რელიგიური ვითარება კიდევ უფრო შეიცვალა ნიკიტა ხრუშჩოვის დროს, რომელიც სტალინის მონაპოვარის უგულებელყოფის ქმედებებთან არის დაკავშირებული. ნიკიტა ხრუშჩოვმა კიდევ უფრო გააძლიერა ზეწოლა სარწმუნოებაზე. სწორედ ამას ემსახურებოდა ,,მეცნიერული ათეიზმის" პროპაგანდის ფართოდ გაშლა საბჭოთა ქვეყნებში. მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებას კი ჟურნალ-გაზეთები წარმოდგენდა, სადაც აქტიურად ისმოდა ანტისარწმუნოებრივი მოწოდებები. ასეთ ვითარებაში საინტერესო იყო როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს ეკლესიას საბჭოთა პოლიტიკისადმი? რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობის გადასარჩენად? ფაქტია, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურები კარგად აცნობიერებდნენ ხელისფლების მზაკვრულ პოლიტიკას. მათთვის წინააღმდეგობის გაწევა იმავე აგრესიული ფორმით მხოლოდ ზიანს მოუტანდა ისევ საქართველოს ეკლესიას, ამიტომ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზით შეეცადნენ ეკლესიის გადარჩენას.

მეთოდები

კვლევა მოიცავს უშუალო დოკუმენტებს და სხვა ისტორიულ წყაროებს, რომლებიც ასახავენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. კვლევის ცენტრალური ფოკუსი ექცევა 1920-50-იანი წლების დოკუმენტების ანალიზს, რათა უკეთ განვსაზღვროთ ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებსაც ეკლესია გადადგამდა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების პროცესში.

დოკუმენტური ანალიზი მიზნად ისახავს წერილობითი წყაროების ღრმა შეფასებას, მათ შორის იმ პერიოდის პოლიტიკური და რელიგიური კონტექსტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, გამოყენებული იქნება პერიოდიზაციის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა შევისწავლოთ რელიგიური პოლიტიკის ევოლუცია 1920-50-იან წლებში და ეკლესიის როლი ამ პროცესში.

შედეგი

მომავალი კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოში საბჭოთა პერიოდის რელიგიურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში ახალი აღქმის ჩამოყალიბებას. სავარაუდოა, რომ კვლევა დაადასტურებს, რომ საქართველოს ეკლესია, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეპრესიული პოლიტიკისა, გარკვეულ ეტაპზე შეძლო გააძლიეროს თავისი გავლენა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გზით. უფრო მეტიც, ისიც შეიძლება გაირკვეს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკის ცვლილებებმა გარკვეული გავლენა მოახდინა საერთაშორისო ასპარეზზე და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხზე.

კვლევის შედეგად, შესაძლებელი გახდება სათანადოდ შეფასდეს ის სტრატეგიები და მეთოდები, რომლებიც საქართველოს ეკლესიამ გამოიყენა საბჭოთა კავშირის პერიოდში საკუთარი იდენტობის შესანარჩუნებლად.

მსჯელობა

კომუნისტური რეჟიმის დამყარების დღიდან საქართველოს ეკლესია სრული გადაგავრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ქვეყნის განვითარება-წინსვლის საქმეში მისი ისტორიული ფუნქცია უაღრესად შეიზღუდა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელები 30-იანი წლების მიწურულიდან დროის შესაბამისად მოქმედებდნენ, ხელისუფლებასთან ლოიალურ მოდგომას ამჯობინებდნენ, რაც იმ ეტაპზე ეკლესიის გადარჩენის საწინდარი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად საქართველოს ეკლესიის ასეთი მიდგომისა, მთავრობა მაინც უნდობლობით იყო განწყობილი.

ისტორიული მეხსნიერება ყოველთვის გვარწმუნებდა იმაში, თუ რა დიდი ძალა ჰქონდა ეკლესიას, საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში. ეს კარგად ესმოდა საბჭოთა რეჟიმსაც და სწორედ ამიტომ მისი მთავარი სამიზნე ეკლესია გახდა. ყოველივე ეს ძალიან კარგად ესმოდათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლებს, რომელთა უმთავრესი ოცნება საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო. სწორედ ამიტომ იყო რომ XX საუკუნის II ნახევვარში ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში აქტიურად ჩართო ქართველი სამღვდელოება. მათ პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნას დაუმატეს რელიგიური თავისუფლების მოთხოვნაც. კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატეს ჰქონდა ის ძალა, რომელიც სჭირდებოდა იმ ხნად საქართველოს ეკლესიას. რაღათქმაუნდა კალისტრატეს ჰყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ნაწილი იზიარებდა მის ხედვას, ნაწილი კი უპირისპირდებოდა მას. ამ კუთხით საინტერესოა განვიხილოთ კალისტრატეს შეურიგებელი ოპონენტის დავით კაჭახიძის პოზიცია, რომელიც წერდა: ,,აბა, ერთი თვალი გადავავლოთ ჩვენ წარსულ საეკლესიო ცხოვრებას ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში. რომელი სასულიერო პირის სახელი უფრო ხშირად, უფრო მეტი პატივისცემით იხსენიება ჩვენ წრეში? ვინ იყო ის, ვინც ჟურნალ ,,მწყემსში'' მოათავსა სტატია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ იმ დროს, როცა ჯერ ამ საგნის შესახებ ჩვენ შორის არავითარი

ლაპარაკი არ ყოფილა და რომლის გამო ამ ჟურნალის რედაქტორმა დავით ღამბაშიძემ ეგზარქოს ვლადიმერისაგან რისხვა მიიღო? ვინ იყო ის, რომელმაც დინჯი, საფუძვლიანი, მეცნიერული პასუხი გასცა რუსეთის ეკლესიის სინოდის მოხელეს სამუილოვს და მის თანამოაზრეთ, რომელნიც საქართველოს ეკლესიის კანონიერ ავტოკეფალიას უარყოფდნენ? ვინ იყო ის, რომელმაც შეადგინა საგნის ამომწურავი საპასუხო რუსეთის პატრიარქის ტიხონის საქართველოს კათალიკოსისადმი ეპისტოლეს შესახებ?...ვინ იყო ის, რომელიც წერდა საქართველოს უზენაეს საერო და სასულიერო მთავრობისადმი საბუთიან მოხსენებებს საქართველოს ეკლესიისა და სამღვდელოების ამა თუ იმ საჭიროებათა შესახებ? ვინ არის ის, რომელსაც ავტორიტეტნი კათალიკოსნიც კი, როგორებიც იყვნენ კირიონი და ლეონიდი ანგარიშს უწევდნენ, ვინ არის, ის რომელსაც საქართველოს ინტელიგენცია თავიდანვე არჩევდა და დღესაც მაღლა აყენებს ქართველ სამღვდელოებაში? ეს არის კალისტრატე, ინტელექტუალი და მოქმედებითაც უპირატესი, შეიძლება ზოგიერთი ჩვენგანი ყველაფერს მისი მსოფლმხედველობისას არ იზიარებდეს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ იგი ჩვენს შორის პირველია თავისი ჭკუით, ცოდნით, განვითრებით, საქმიანობით, გამოცდილებით'' (ვარდოსანიძე 2017: 272). თუ ამ მოსაზრებას მარტო შევაფასებთ, რეალურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში დგება დრო, რომელსაც უკეთესობისკენ უნდა შეეცვალა არსებული მდგომარეობა. მაგრამ აქვე არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კალისტრატეს უწევს უმძიმესი რეალობის წინაშე დგომა. 1940 წელს მოქმედი ეკლესიები 15-ამდე, სასულიერო პირები კი 128-მდე შემცირდა. ხელისუფლება კი ყოველმხრივ ზღუდავდა ეკლესიის დამოუკიდებელ ქმედებას. სასულიერო პირებს არა მარტო ართმევენ სიტყვის თავისუფლებას, არამედ მათ ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ. უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ დაიწყო უთანასწორო ბრძოლა ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

1939 წლის დეკემბერში უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ სცადა უშუალოდ ი. სტალინს დაკავშირებოდა: ,, თქვენ სიჭაბუკითგანვე არ სცანით ძილი თვალთა, რული წამთა და განსვენება ხორცთა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ცრემლითა მოსასპობად, ამისთვის მადლიერმა ერმა დაგსვათ ძლიერთა თვისთა შორის და შეგმოსათ დაუჭკნობელი დიდებით". (ვარდოსანიძე: 2017: 276), ამ წერილის შემდგომ დღის წესრიგში დადგა სვეტიცხოვლისა და სიონის დახურვის საკითხი. თუმცა პოლიტიკური ვითრებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირზე გერმანული ფაშიზმის თავდასხმის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მიხვდა, რომ მას სწორედ ახლა სჭირდებოდა საზოგადოების მთლიანი ძალა მიემართა მტრის წინააღმდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში იცოდა რომ კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა.

მეორე მსოფლიო ომმა ერთგვარად შეცვალა როგორც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე საქართველოს ეკლესიის ვითარება. საბჭოთა ქვეყანას ომის მსვლელობის დროს არა მხოლოდ გარე ძალების დახმარება, არამედ შიგნით, სახელმწიფოში ესაჭიროებოდა დასაყრდენი ძალა. ასეთ საყრდენად ხელისუფლებამ ეკლესია მიიჩნია. სწორედ ეკლესიის გამოყენებით უნდა მომხდარიყო საქართველოში ეროვნული ინტერესებისა

თუ მისწრაფებების საერთო სოციალური ინტერესებით ჩანაცვლება. აღნიშნულმა მიზეზმა განაპირობა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლა საქართველოს ეკლესიის მიმართ. ხელისუფლება მთელი ძალით ცდილობდა ეკლესიის ავტორიტეტის გამოყენებას მოსახლეობაში თავის სასარგებლოდ, ასევე ეროვნული ინტერესებიდან ეკლესიის ჩამოცილებას. აღნიშნული მოვლენა რა თქმა უნდა არ ნიშნავდა იმას, რომ სასულიერო პირები და საქართველოს ეკლესია მისი ნდობით აღჭურვილ ორგანოს წარმოადგენდა. ხელისუფლება ეკლესიაზე ზედამხედველობის დაწესების ახალი მეთოდების შემუშავებას შეუდგა. ომით გამოწვეული მძიმე სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობა ხალხს ეკლესიისკენ უბიძგებდა. საბჭოთა მმართველობა კი ზეწოლისა თუ თვალთვალის ხერხებს აძლიერებდა. ამ თვალსაზრისით კვლავ ,,მებრძოლი ათეისტები" იყვნენ გამორჩეულები, რომლებიც აგენტების აგზავნიდნენ ტაძარში სამღვდელოებისა და მრევლის სულისკვეთების უკეთ შესასწავლად (ბენდელიანი 2002: 85). აღნიშნულის დასტურია 1942 წელს აღდგომის დღესასწაულის შესახებ ერთ-ერთი აგენტის წერილი: ,,ეკლესიაში ხალხი არ ეტეოდა. აქ თავი მოეყარა, როგორც მორწმუნეებს, ისე მერყევ ელემენტებსაც, მათ შორის მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ ფრონტიდან დაბრუნებულებიც. ბევრი მათგანი სანთელს უნთებდა ხატს და ლოცულობდა, ერთი პიროვნება, რომელიც ჯარისკაცის ფორმაში იყო გამოწყობილი მღვდელ-დიაკონთან ფუსფუსებდა... (სუიცსა, ფ.1547, აღწერა 1, საქმე 144). ეს პატარა მონაკვეთიც ნათლად ადასტურებს არსებულ მდგომარეობას.

არსებული პოლიტიკური მდგომარეობა სწორად იქნა შეფასებული საქართველოს ეკლესიის მხრიდან, შეიძლება დღეს ეკლესიის ეს გადაწყვეტილება უარყოფით კონტექსტში განიხილოს ვინმემ, მაგრამ იმ პერიოდში, რეპრესია გამოვლილი ეკლესიისთვის საჭირო იყო თანადგომა გამოეცხადებინა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და რეალურად გვერდით დადგომოდა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც მას ავიწროვებდა. ომის დაწყების დღიდან საქართველოს ეკლესიამ ანტიფაშისტურ ორიენტაციას დაუჭირა მხარი. ამის ნათელი დასტურია 1941 წლის 24 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის მიმართვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭოს სახელზე, სადაც ის აღშფოთებას ვერ მალავს ფაშისტური გერმანიის საბჭოთა ქვეყანაში შემოჭრის გამო. საქართველოს ეკლესია ცდილობდა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ემოქმედა, ის აქიურად ჩაება სამომაულო ომში გამარჯვებისათვის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდაში. სავსებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობის საეკლესიო პოლიტიკა კომპრომისისკენ იყო მიმართული, აშკარად იკვეთება პარტიის ფრთხილი დამოკიდებულება ეკლესიისადმი. რუსეთის რიგ რეგიონებში მასიურად დაიწყო 20-30-იან წლებში დახურული ეკლესია-მონასტრების ხელახლა გახსნა.

მსოფლიო ომმა და შემდეგ უკვე სამომამულო ომმა გარკვეულად შეამსუბუქა საქართველოს ეკლესიის და ზოგადად ეკლესიის მდგომარეობა. მართალია ,,შემსუბუქების პოლიტიკა" მიზანმიმართულად სხვა ინტერესებს

ემსახურებოდა, მაგრამ მაინც ამ თვალსაზრისით საქართველოშიც დაიწ-ყო გარკვეული ნაბიჯის გადადგმა. საქართველოს სამრევლოებმა აქტი-ურად მოითხოვეს დახურული ეკლესიების გახსნა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ გაჭიანურებული იყო და შეგნებულადაც ჭიანურ-დებოდა. მათი ქმედებებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოური საეკლესიო პოლიტიკა შთაბეჭდილებას ქმნიდა თითქოს მზად იყო ეთანამშრომლა ხალხთან, დაეცვა მისი სარწმუნოებრივი ინტერესები, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება კი უხეშად არღვევდა დადგენილ კანონებს. ომის დროს ხელისფლებამ ეკლესია პოლიტიკაში ჩართო. მისი როლი მეტად აქტუალური გახადა და ერთ-ერთი წამყვანი ფუნქციას დააკისრა. ამ მხრივ ეკლესიის ,,ფინანსურ" მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ეკლესიის წვლილს საბჭოთა მთავრობა დადებითად აღიქვამდა და ქველმოქმედებით პასუხობდა. საარ-ქივო დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ პარტიის ხელმძღვანელობა ცდილობდა მძიმე მატერიალურ ყოფაში მყოფი სასულიერო პირების დახმარებას. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სასარგებლოდ 1945 წელს ხელისუფლებამ გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი - სახკომსაბჭოს გა-დაწყვეტილებით ეკლესიამ მიიღო იურიდიული პირის უფლება, რომელიც მას 1929 წლის საკანონმდებლო დებულებით ჰქონდა ჩამორთმეული. ეკლესიამ მიიღო უფლება გაეხსნა საფინანსო ანგარიშები, შეესყიდა ნეგებობები, გაეხსნა საწარმოები, დაექირავებინა მუშები და ა. შ. (ბენდელიანი 2002: 90). საბჭოთა ხელისუფლება დარწმუნდა ეკლესიის ეკონომიკური სიძლიერის აუცილებლობაში, რადგან პოლიტიკურად საიმედო ეკლესია, ეკონომიკურადაც დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიამ დიდი მხარდაჭერა გამოიჩინა სამამულო ომის დროს, მაინც უამრავი პრობლემა ჰქონდა შიგნით მოსაგვარებელი. სა-მამულო ომში საქართველოს ეკლესიის დამსახურების მიუხედავად არსე-ბული ხელისუფლება არ დაუშვებდა ეკლესიის გაძლიერებას, პირიქით ტაქტიკურად ცდილობდა მის პოლიტიკურ დასუსტებას.

ნათელია რომ საბჭოთა ხელისუფლება არ დაუშვებდა ეკლესიაზე კონტროლის სადავეები გაეშვა ხელიდან. სწორედ ამიტო უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე არსებულ ლოიალურ დამოკიდებულებას არ ენ-დობოდა და მაქსიმალურად ცდილობდა ეკლესიაში და მის ახლოს არ მოეშვა ისეთი პირები, რომელბიც მზაკვრულად ძირს გამოუთხრიდნენ ეკლესიას, შესაბამისად ის თავს იკავებდა მკვეთრი გადაწყვტილებების მიღებისაგან, რათა საფრთხე არ შეექმნა საქართველოს ეკლესიისთვის.

საკითხის განხილვისას საინტერესოა ჯონ სტაინბეკის ,,რუსული დღიურების'' მოშველიებაც. აქ ნათლად იკვეთება ის, თუ რამ გადაარჩა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რთულ პერიოდში, ავტორი წერს: ,,შევედით. მდიდრულ ტაძარი იყო, აღმოსავლური, საკმეველსა და დროს ფრესკები სულ გაეშავებინა. ხალხით იყო გადაჭედილი იქაურობა. წირვა-ლოცვას მოხუცი კაცი უძღვებოდა, თეთრთმიანი, თავზე ოქროს მიტრა ედგა, და იმდენად ლამაზი იყო, ირეალური გეგონებოდა. იგი კათალიკოსი

და საქართველოს ეკლესიის წინამძღოლია, მისი კაბა ოქროსფერი ძაფითაა ნაქსოვი. ღვთისმსახურება დიდებული იყო, და მუსიკოსების გუნდი წარმოუდგენლად გალობდა. საკმეველი ეკლესიის გუმბათამდე ადიოდა, გუმბათიდან კი მზე შემოდიოდა და იქაურობას ანათებდა“ (სტაინბეკი2015: 216). სწორედ ამ მუხტმა და ძალამ გადაარჩინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და იმ საეკლესიო პირებმა, რომლებმაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნეს ეკლესიის თვითმყოფადობისათვის ბრძოლას. მათ შორის კი იყო უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე ცინცაძე, მაგრამ ისტორიულ მეხსიერებას არ უნდა გამორჩეს ის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც რეალობას სულ სხვა მიმართულებით წარმართავენ ხოლმე. არ უნდა დავივიწყოთ ნიკიტა ხრუშჩოვი, რომლის გადაწყვეტილებებმაც, ეკლესიის მიმართ დამოკიდებულება კვლავ შეცვალა.

ნიკიტა ხრუშჩოვი იყო ძალიან საინტერესო ფიგურა, მან მანამდე არსებული პოლიტიკური კურსი ისე შეცვალა, რომ საზოგადოება ვერც კი წარმოიდგენდა ასეთ ცვლილებას. ნიკიტა ხრუშჩოვმა შექმნა ახალი პოლიტიკური კურსი, რომელიც დესტალინიზაციის პოლიტიკური კურსის სახელით არის ცნობილი. ხრუშჩოვი თავიდანვე შეუდგა სტალინური სოციალიზმის ნგრევას და ყველა მიმართულებით შეეცადა მისი კვალი დაეტოვებინა. საინტერესოა მისი ბიოგრაფიის შეფასებაც, რადგან ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც მან მიიღო. ბევრმა მეცნიერმა, მის ბიოგრაფიას და მის პოლიტიკაში მოსვლამდე ცხოვრებას დაუკავშირა.

ნიკიტა ხრუშჩოვი დაიბადა 1894 წელის 5 აპრილს, კურსკის გუბერნიის სოფელ კალინოვკაში. ის დაიბადა გლეხის ოჯახში. დადიოდა სკოლაში, სადაც ისწავლა წერა-კითხვა, მაგრამ აღსანიშნავია ის რომ დაწყებითი სკოლა არ დაუმთავრებია. 12 წლის ასაკში ის მუშაობდა ქარხანაში. იგი ბოლშევიკური პარტიის წევრი ხდება 1918 წელს. ასევე არის სამოქალაქო ომის მონაწილე. 1920 წელს აირჩიეს მეშახტეთა უჯრედში პოლიტიკურ ხელმძღვანელად. 1921 წელს დონბასში იხსნება ,,დონტექნიკუმი“. ტექნიკუმთან შექმნილ მუშფაკში მან დაიწყო სწავლა, მაგრამ ვერ დაამთავრა ეს სასწავლებელი.

1928 წელს უკრაინის კპცპ (ბ) გენერალური მდივანი გახდა ს. კოსიორი. მან ხრუშჩოვი, როგორც გლეხის შვილი, მუშად ნამუშევარი და არაინტელიგენტი პიროვნება მასთან გადმოიყვანა საორგანიზაციო გამგის მოადგილედ. 1931 წელს ის არჩეულ იქნა მოსკოვის ბაუმანის რაიკომის პირველ მდივნად. 1932 წელს ხრუშჩოვი უკვე მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ხდება. 1935 წელს კი ის უკვე მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანია. 1938 წელს ის ჯერ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ხდება, შემდეგ კი უკრაინის კომუნისტთა ლიდერი. მის ბიოგრაფიას თუ დავაკვირდებით მიუხედავად განათლების არ ქონისა, ნიკიტა ხრუშჩოვი ახერხებს პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებას და თითქოს ამ ნაბიჯებით ემზადება მისი პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეების განმტკიცებისთვის, არა როგორც მდივანი, არამედ უკვე როგორც მთავარი პოლიტიკური ფიგურა. XVIII ყრილობის შემდეგ ხრუშჩოვს ირჩევენ საკავშირო ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად. მას ომის პერიოდში

უკვე ჰქონდა გენერალ-მაიორის წოდება. ომის დროს კი მიიღო სუვოროვის მეორე ხარისხის ორდერი. 1947 წელს ის ინიშნება უკრაინის კპ ცპ-ის პირველ მდივნად. 1949 წელს კი უკვე მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია. (ქართველიშვილი 2019: 127-128). დიდი ბელადის, იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, კი სახელმწიფოს სათავეში მოვიდა მცირე დროით გიორგი მალენკოვი და შემდეგ უკვე ნკიტა ხრუშჩოვი. სტალინის მართველობის ბოლო წლებში ეკლესიის მიმართ შეცვლილი შემწყნარებლური დამოკიდებულება მთლიანად გაქრა და კვლავ დაიწყო ახალი შეტევები ეკლესიაზე. ნიკიტა ხრუშჩოვის დროს იქნა მიღებული რამოდენიმე დადგენილება მოსახლეობის ათეისტურად აღზრდის შესახებ. გაძლიერდა ანტირელიგიური პროპაგანდა.

ხრუშჩოვის დროსაც საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა არ შეცვლილა. ის კვლავ რჩებოდა მოვლენად, რომელიც აბეჩავებდა ადამიანს. რელიგია კვლავ ითვლებოდა გაუნათლებლობისა და სიბნელის გადმონაშთად. სახელმწიფო კი იბრძოდა მისი პოლიტიკით დაეძლია რელიგიის შედეგად შექმნილი სიბნელე. სახელმწიფო ხალხის ,,მხსნელის'' სახეს ირგებს და კვლავ ილაშქრებს ყველაზე ღირებულის წინააღმდეგ. ამ პერიოდში რელიგია ბოლომდე ვერ განდევნა სახელმწიფომ, ჯერ კიდევ კონსტიტუციით და სხვა სამთავრობო დადგენილებებით იურიდიულად თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ ხერხდებოდა ეკლესიის როლის აღმოფხვრა. სახელმწიფო აქტიურად იბრძოდა ახალი იდეოლოგიის განმტკიცებისთვის.

საბჭოთა კავშირი ლოიალური იყო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, რადგან მიაჩნდა რომ ის იყო საუკეთესო გზა მისი პოლიტიკის გასატარებლად. რაც შეეხება სხვა კონფენსიებს, განსაკუთრებით კი სექტანტურ დენომინაციებს, სახელმწიფო მათ მიმართ არ იყო დადებითად განწყობილი. ისინი კი ვინც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ საბჭოთა პოლიტიკის მიმართ ბრალს დებდნენ ანტისაბჭოთა მოქმედებაში და მთლიანად უკრძალავდნენ მოქმედებას. ნიკიტა ხრუშჩოვი ცდილობდა დაპირისპირებოდა სტალინურ პოლიტიკას და ამით მისი ძლიერება უფრო მეტად განემტკიცებინა. ის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკოსი საბჭოთა კავშირში, რადგან სწორედ მან დაიწყო ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის განმტკიცება, რომელიც საზოგადოებისთვის წარმოუდგენელი იყო. მან წამოიწყო ახალი პოლიტიკური კურსი, რომელიც დესტალინიზაციის პოლიტიკის სახელით არის ცნობილი. ნიკიტა ხრუშჩოვი აშკარაა არ ივიწყებდა წყენას და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ანგარიშწორება მკვდარ სტალინთნ. ,,ნიკიტას კარგად ახსოვდა მოსკოვის კალაქკომის პირველი მდივნობის დროს, ერთი ხის მოჭრის ნაცვლად, ქუჩის ნარგავების გაჩეხვის გამო როგორ სასტიკად სადუქსა სტალინმა... ისიც ახსოვდა, ,,აგროქალქაების'' მშენებლობის პროექტისთვის დატუქსულ პატარა ბავშვივით მოზლუქუნე ნიკიტას ,,ჩემი პატარა მარქსი'' რომ უწოდა და ისიც როგორ დააბერტყა თავზე 1941 წლის ოქტომბერში ფაშისტების ,,მომლოდინე'' და შიშს ატანილი ხრუშჩოვის ჩიბუხი" (სონღულაშვილი 2016: 225). ბევრი დამამცირებელი დეტალის გახსენება შეიძლება სტალინისა და ნიკიტას ურთიერთობებიდან. გასაკვირი არაა, რომ ის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ებრძოდა უკვე მკვდარ სტალინს.

ერთხელ როდესაც ხრუშჩოვმა სტალინს კიევის დაკარგვის შესახებ მოახსენა, სტალინმა ჰკითხა: ,,თქვენ ადგილზე ნიჩბები თუ გაქვთ?'" ნიკიტა იქვე მდგომ ფრონტის სარდალს დაეკითხა და სტალინს უპასუხა, რომ ნიჩბები ჰქონდა. ,,გამოართვით ნიჩბები ჯარისკაცებს და თქვენივე ხელით გაითხარეთ სამარე, უკრაინის გარდა, თქვენ სხვა ადგილი არ გაქვთ!" მკაცრად უპასუხია სტალინს და ყურმილი დაუკიდებია. სტალინისგან ერთხელ უკვე შეწყალებული ხრუშჩოვი, მას მეორედ შეწყალებას უკვე ატირებული თავისი შვილის გამო ევედრება. როცა, თავისი შვილი ლიონილა ხრუშჩოვი, საბჭოთა თვითმფრინავს მტრის მხარეზე სვამს და მათ მხარეზე გადადის. სტალინის ბრძანებით იგი შეიპყრეს და სამშობლოში დააბრუნეს. ხრუშჩოვი დაჩოქილი ეხვეწებოდა სტალინს, ეჩუქებინა მისთვის შვილის სიცოცხლე, რა დროსაც სტალინმა ჰკითხა:

- მეხვეწები, როგორც პოლიტბიუროს წევრი, თუ როგორც მამა?

- როგორც მამა-იყო პასუხი.

- რა ვუთხრა იმ მამებს, რომლებსაც სამი და ოთხი შვილი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაკარგეს, ნუთუ ისინი მამები არ არიან? პოლიტბიურომ განიხილა ხრუშჩოვის შვილის საკითხი, იგი მიიჩნიეს ქვეყნის მოღალატედ და სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი ძალაში დარჩა (სონღულაშვილი 2016: 225-226).

1949 წლიდან ხრუშოჩოვისთვის იწყება ახალი ეტაპი, ის ამ პერიოდში ხდება საკ.კპ.(ბ) ცკ მდივანი. სტალინი ბოლო დროს იმდენად დაუაახლოვდა ხრუშჩოვს, რომ 70 წლის იუბილეზე მას მარცხენა ხელი ხრუშჩოვზე ჰქონდა გადახვეული, მარჯვენა კი მაო ძედუნზე.

ისტორიას ახსოვს მომენტები, რომელიც ამძაფრებს ფიქრს იმაზე თუ რატომ იბრძოდა ხრუშჩოვი ყოველგვარი სტალინურის წინააღმდეგ. აქვე საყურადღებოა ფრენსის ფუკუიამას მიერ ახსნილი დესტალინიზაცია, როგორც მოვლენა, ის წერს: ,,როცა არ არსებობს ხელისუფლების მემკვიდრეობითობის საყოველთაოდ მიღებული წესი, ძალაუფლების ამა თუ იმ პატივმოყვარე პრეტენდენტს მუდმივად უჩნდება ცდუნება, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მთელი სისტემის ვარგისიანობა და მეტოქეებთან ბრძოლის უებარ საშუალებადაც ფუნდამენტური რეფორმებისკენ მიწოდება გამოიყენოს. რეფორმისტული კარტი ძლიერი კოზირია, რამდენადაც სტალინიზმით უკმაყოფილება ლამის გლობალური მოვლენაა. ასე გამოიყენა ანტი-სტალინიზმი ხრუშჩოვმა ბერიასა და მალენკოვის, გორბაჩოვმა თავისი ბრეჟნევისდროინდელი მეტოქეების, ხოლო ჟაო ძიანმა შეუდრეკელი ლი პენის წინააღმდეგ. კითხვა, ნამდვილად დემოკრატები იყვნენ თუ არა ის პირები თუ ჯგუფები, ვინც ძალაუფლებაზე აცხადებდა პრეტენზიას, გარკვეული თვალსაზრისით უადგილოდ ჟღერდა" (ფუკუიამა 1999: 55).

დესტალინიზაციის პროცესი ჯერ კიდევ ბერიას დროს დაიწყო, ბერიამ თანამდებობაზე ყოფნის პროცესში ამ მიმართულებით ვერ შეძლო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ამიტომ პოლიტიკურ სარბიელზე ეს პროცესი წყდება. თუმცა ხრუშჩოვის დროს მოხდა რეალური ნაბიჯების გადადგმა. ის უპირისპირდებოდა იმას, რაც მისმა წინამორბედმა დაუტოვა, ცდილობდა შეცდომების გამოსწორებას. პირველი სამიზნე კი ხელისუფლების მხრი-

დან ხდება ეკლესია. სტალინური ლოიალური პოლიტიკის შემდგომ იწყება კვლავ რელიგიის დევნის პროცესი. იწყება ლექცია-სემინარების ჩატარება და რელიგიის, როგორც ,,მათრობელას'' და როგორც ,,ოპიუმის'' განხილვა. ათეისტური იდეების გაჟღერებაში ერთვება განათლება, პრესა, კინო, ჟურნალ-გაზეთები. ხელისუფლება იყენებს ყველა ბერკეტს რელიგიური მრწამსის გაქრობისათვის და ცდილობს დაიბრუნოს საბჭოთა მარიონეტული ადამიანი. ამ პერიოდში მიღებულ იქნა დადგენილებები, რომლებიც კვლავ მოუწოდებდა ხელისუფლებას ყველანაირი რელიგიური კონცეფციის კონტროლისაკენ. საყურადღებოა 1959 წელის 5 მაისის დადგენილება, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ჟურნალი ,,მეცნიერება და რელიგია''. აღნიშნული ჟურნალის მიზანი იყო პოპულარული სტატიების დაბეჭდვა, ამ ჟურნალში დაიწყეს რელიგიის კრიტიკა და რელიგიური მოვლენების მეცნიერულად ახსნა. ჟურნალი მაქსიმალურად ცდილობდა ათეისტური აზროვნების გაღვივებას საზოგადოებაში. ჟურნალი 100 000 ტირაჟით გამოდიოდა და გათვლილი იყო მასობრივ მკითხველზე და ლექტორებზე, რომლებსაც აქ თავმოყრილი მასალა გამოადგებოდათ შემდგომი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისათვის (ქართველიშვილი 2019: 139). ნათლად იკვეთება საბჭოთა კავშირის რელიგიის მიმართ დამოკიდებულება. სისტემა ცდილობდა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლას აკადემიურ ფრონტზე.

ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკის განხილვისას საინტერესოა მოვიშველიოთ მისი საუბრები ამერიკის საგაზეთო-საგამომცემლო ტრესტის მეთაურთან ვ.რ. ჰერსტთან, რომელიც შედგა 1957 წლის 22 ნოემბერს. მასთან საუბარში კარგად იკვეთება ხრუშჩოვის დამკიდებულება რელიგიისადმი. ,,ჩვენ უფლის საფლავისთვის არ ვიომებთ. არ შეიძლება საფლავისთვის ომობდე და საფლავებით ფარავდე მსოფლიოს. ოდესღაც კი სისხლისმღვრელი ომები წარმოებდა უფლის საფლავისთვის, ათასობით და ათასობით ადამინაი იღუპებოდა ჯვაროსანთა ლაშქრობებში. მაგრამ ეს დროს უკვე დიდი ხანია ჩაბარდა ისტორიას“ (ხრუშჩოვი: 1958: 409). ის ამ განცხადებით ხაზს უსვამდა, რომ რელიგია პოლიტიკური ძალისთვის წარმოადგენდა უბრალო ჩვეულებას, რომელიც ვერასოდეს ვერ შეცვლიდა საზოგადოების აზროვნებას. ის აქვე საუბარში აღნიშნავდა რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მოღვაწეები ათეისტები იყვნენ, მაგრამ დიდად აფასებდნენ მათ ვალდებულებებს, სიტყვას და არასოდეს არ არღვევდნენ ნაკისრ ვალდებულებებს. ,,ჩვენ კომუნისტები, აქტიურად ვიბრძვით ომის თავიდან აცილებისთვის, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ახალი ომი არ წარმოიშვას. ახლა აიღეთ, მაგალითად, ბ-ნი დალესი. იგი მორწმუნე კაცია და ძალიან ხშირად ევედრება ღმერთს და აი ბ-ნი დალესი, უფალ ღმერთს რომ ევედრება, თავის ემისარს ბ-ნ ჰენდერსონს გზავნის თურქეთსა და სხვა ქვეყნებში ომის ორგანიზაციისთვის, ადამიანთა დახოცვის ორგანიზაციისთვის. როგორ ეთანხმება ეს ღვთის რწმენის ცნებას? არც ერთი რელიგია არ აკურთხებს ასეთ მოქმედებას. აი სად არის წინააღმდეობა. ასეთი ადამიანები ცდილობენ საქმე ისე დახატონ, თითქოს ისინი ნამდვილად ხელმძღვანელობენ თავიანთ მოღვაწეობაში ,,ღვთის ჩვენებით“, არსებითად კი ეწევიან საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანობის ყველაზე

ძირითად პრინციპებს, მაშასადამე, მთელ ადამიანთა საზოგადოებასაც“ (ხრუშჩოვი 1958: 410-411). შესაბამისად ხრუშჩოვი მსგავსი არგუმენტებით უარყოფთა მისი წინამორბედის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ეკლესიისთვის წმინდა მიწაზე ეკლესია-მონასტრების დაბრუნებას, ეწინააღმდეგებოდა იქ მძლავრი სასულიერო კერის შექმნას და მის ნაცვლად იდეა-მიზანი ფორთოხლის პლანტაციებში გადაცვლა. აღნიშნული დიპლომატიის ისტორიაში ,,ფორთოხლის გარიგების“ სახელით შევიდა (ქართველიშვილი 2019: 142).

ხრუშჩოვი რელიგიური პოლიტიკა ბევრი თავისებურებით ხასიათდებოდა, მაგრამ მაინც მთავარი ის იყო რომ, იგი დაუპირისპირდა სტალინურ მიდგომას და შეეცადა მისი წინამორბედის პოლიტიკის გაუმჯობესებას. მიზანში კი ამოიღო ყველაზე მნიშვნელოვანი, რელიგია და ეკლესია. მისი მიზანი იყო საზღვრებს მიღმაც დაენახათ მისი უკომპრომისობა და ასევე მას სურდა ყოფილიყო საზოგადოების ნებისმიერი ფენის მთავარი ხელმძღვანელი. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში საქართველოს ეკლესიას ხელმძღვანელობდა ეფრემ II და მელქისედეკ III. საქართველოს ეკლესია ცდილობდა არ დაპირისპირებოდა ხელისუფლებას. თუმცა უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II-ს ურთულეს ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა. იგი მწერლის იპოლიტე ვართაგავასათვის გაგზავნილ ერთ პირად წერილში გულახდილად აღნიშნავდა, რომ ,,დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კათოლიკოს პატრიარქების კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო. აქ ყველაფერს ვერ დავწერ, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან გართულებულ გარემოცვაშია ჩვენი ეკლესია. შეიძლება გულშემატკივარნი ბევრი ჰყავდეს, მაგრამ აქტიურ მოქმედთ ვერა ვხედავ. მიუხედავად ასეთი მძიმე გარემოებისა, მაინც მოხერხდა მცხეთაში დამეარსებინა სამოძღვრო ორწლიანი კურსები ეპისკოპოს გაბრიელის სახელობის, გამომეცა გიორგი მთაწმინდელის ნახელავი ოთხთავი, ეპისტოლენი და იოანეს გამოცხადება, ლოცვანი, ქართველთ წმინდანთა სურათები, ხატები, საქართველოს ეკლესიის კალენდარი ყოველწლიური. მე მჯერა ცხოვრება დაწყნარდება, მაშინ ეკლესია საპატიო ადგილს დაიჭერს ცხოვრების სინამდვილეში“. (ვარდოსანიძე 2017: 319). ეკლესიები ძალიან რთულ სიტუაციაში იყო ამ პერიოდში, იძარცვებოდა და ნადგურდებოდ აყველაფერი ის რაც ხალხს აძლიერებდა. ნადგურდებოდა არა მხოლოდ რელიგია, არამედ საზოგადოების ,,ხმაც'' მასთან ერთად. რელიგიის საქმეთა რწმუნებული დ. შალუტაშვილი აღშფოთებული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე წმინდა ადგილებში მორწმუნეთა სიმრავლის გამო. მისი აზრით აუცილებელი იყო ,,კამანის მონასტერთან მიავალი გზის ჩაკეტვა, რაც წმინდა წყალთან მორწმუნეთა მისვლას გააძნელებდა. იქ თუ ღორების ფერმა აშენდება, კარგი საბანაო იქნება ცხოველებისათვის და ადამიანები წყალში აღარ შევლენ განსაკურნებლადო“ (ვარდოსანიძე 2017: 320). დაუჯერებელი და სამწუხაროა, თუმცა რეალობაა სწორედ ასე აზროვნებდნენ ადამიანები გასული საუკუნი 60-70 წლებში. აზროვნება კი გადმონაშთი იყო იმ ძველი დამახინჯებული აზროვნებისა, რომელიც საბჭოთა კავშირმა უანდერძა

საზოგადოებას. მიუხედავად რთული მდგომარეობისა ამ პერიოდებში ქართულმა ეკლესიამ სწორი გზა აირჩია. უნდა ვთქვათ რომ ხელისუფლებასთან კომპრომისზე წასვლა და მასთან თანამშრომლობა უფრო სწორი გადაწყვეტილება იყო, ვიდრე მის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ეს შედეგს ვერ გამოიღებდა. აქცენტი ეკლესიის მხრიდან გაკეთდა მშვიდობიან მოწოდებებზე, ეკლესიის ისტორიის პოპულირიზაციაზე და მის გაცნობაზე საერთაშორისო ეკლესიისთვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

სუიცა ფონდი 1547, აღწერა 1, საქმე 3, ფურცელი 11

სუიცა, ფონდი 1547, აღწერა 1, საქმე 3, ფურცელი 15

ვარდოსანიძე. ს. (2017). *საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017წწ).* თბილისი. 2017.

ქართველიშვილი, მ. (2019). *საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში.* თბილისი, 2019.

ხუციშვილი, ვ. (2010). *სატანისტების საქართველო.* თბილისი. 2010.

ხრუშჩოვი, ნ. (1958). მტკიცე მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისთვის. საქართველოს კპცკ-ის გამომცემლობა. თბილისი. 1958.

ფუკუიამა, ფ. (1999). *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი.* თბილისი.

სონღულაშვილი, ა. (2016). *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები.* თბილისი.

სტაინბეკი, ჯ. (2015). რუსული დღიურები. ინგლისურიდან თარგმნა თამარ სუბელიანმა. თბილისი.

ბენდელიანი მედეა. (2020). *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იანი წლები.* თბილისი.

REFERENCES

National Archives of Georgia. Suica, Fund 1547, Description 1, Case 3, Page 11.

National Archives of Georgia. Suica, Fund 1547, Description 1, Case 3, Page 15.

Literature

Vardosanidze, S. (2017). *A century chronicle of the Georgian Orthodox Apostolic Church (1917–2017).* Tbilisi (in georgian).

Kartvelishvili, M. (2019). *Soviet religious policy and its reflection in Georgia in 1953–1964.* Tbilisi(in georgian)..

Khutsishvili, V. (2010). Satanists of Georgia. Tbilisi (in georgian)..

Khrushchev, N. S. (1958). For firm peace and peaceful coexistence. Communist Party of Georgia Publishing House. Tbilisi(in georgian)..

Fukuyama, F. (1999). *The end of history and the last man* (in georgian)..

Songhulashvili, A. (2016). *Issues of modern and contemporary history.* Tbilisi (in georgian).

Steinbeck, J. (2015). Russian diaries T. Subeliani Transi (in georgian)..

Bendeliani, M. (2020). *The Georgian Orthodox Church in the 1930s–1940s.* Tbilisi (in georgian).

NINO GURCHIANI

THE GEORGIAN APOSTOLIC ORTHODOX CHURCH IN THE 1940s-1950s

Abstract

The religious policy of the Soviet Union in Georgia was mainly based on the principle of separation of the state and the church and reducing the latter's influence on society. This policy was based on Lenin's doctrine, according to which the power of the Church over the people should completely disappear in the future. Supposed elimination of religion on a daily basis had been an important element of the communist doctrine, which provided for intensive propaganda and the introduction of anti-religious Marxist-Leninist views into the education system. To that end, socialist ideals were expected to be strengthened.

The Georgian Orthodox Church tried to maintain itself under these conditions and pursue a compromise policy. The leaders of the church realized that undisguised opposition would only increase the pressure from the state, thus they chose the path of cooperation with the Soviet government. However, they kept working on strengthening autocephaly and their position in the international arena.

The essay studies the contradictions in this policy that raise questions about ecclesiological and ethical choices. Above all, it must be said that the compromise policy played a positive role in the gradual restoration of religious autocephaly in the wake of coexistence with the Soviet agenda.

Keywords: Georgia, Orthodox Church, the Soviet Union.